„დროება“

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია

გალერეის ბრახუნქუჩაზე, თ. ივ. კ. შუხრანოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“, „ცნობის-ფურცლის“ რედაქციაში. გარეშე ხოგრებისთვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверія“.

„დროების“—„ცნობის-ფურცლის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

დროება „ცნობის-ფურცლით“ ერთად. 13 მან. 7 მან. 4 მ.
ცალკე „დროება“ 9 მან. 5 მან. 3 მ.
ცალკე „ცნობის-ფურცელი“ 6 მან. 4 მან. 2 მ.

ხელმოწერა „დროების“ დარის 5 კაპ. „ცნობის-ფურცლის“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ათასზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით ერთ სტრიქონზე 5 კაპ. წვრილებრივის ასოებით ხუთ სტრიქონზე მეტი ერთხელ დაბეჭდვა 5 კაპ.

თუ ხანგრძლივად მოითხოვენ, რედაქცია განსწორებს ფასს ჩვეულებრივ დათანხმებულად გამოგზავნილ წერილებს. დიდ ბეჭდილ წერილებს რედაქცია უფრო იაფად დაუბეჭდავს განცხადებს.

განცხადება ა-დები ქართულსა, რუსულს და ხანა ენაზედ.

ძომაგალი წლიდამ გამოვა თბილისში ეროვნულ-თვიური ჟურნალი

„ივერი“

გამოცემის პირობა არის გამოცხადებული მეოთხე გვერდზე.

ტელეგრამები

(სხლთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 13 დეკ. გაზეთს „ბირჟის უწყებებში“ აწერებიან ფინანსის მინისტრმა გარდაწყვიტაო, რომ დღეის შემდეგ ქაღალდის ფული აღარ გამოსცეს, პირიქით მომავალის წლიდამ შეამციროს სულში გამოსაცემული ქაღალდის ფული, რომლისათვისაც მუდამ წელიწადს სახელმწიფო ხაზინიდამ 42 მილიონი იქნება დანაშნული.

ამავე გაზეთის სიტყვით, მომავალ წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის (ბიუჯეტის) ანგარიშიდამ ჩანს, რომ ამ წელს ხაზინას 100 მილიონი მანეთი უფრო მეტი გასავალი ექნება, ვინემ შემოსავალი.

გაზ. „გოლოსის“ სიტყვით, რადგან ხაზინას, მ-რილის აქციზის მოსპობის გამო, შემოსავალი მოაკლდა, ამის გამო ამ დანაკლისის შესავსებლად მთავრობას განზრახვა აქვს, უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილ საქონელს მოუმატოს ბაჟი—მანეთზე ორი შაური და ამასთანავე 38% -დამ 20% -მდინ დაუწიოს უცხო ქვეყნის მარილს ბაჟი. ეს განგარგულება არ შეუხებია მხოლოთ სპარსეთისა და ოსმალეთიდამ მოტანილ საქონელს, რომელიც კავკასიაში ხმელეთით მოდიოდა და აგრეთვე კასპიის ზღვით ასტრახანის ნავთსადგურზედა. ამას გარდა განზრახვაა, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლის სახლებში საქონლის დასაწყობი ფასი ერთიორად გადაახდევინონ გამგრებსა.

დურბანი, 12 დეკ. ბოერებმა დაბომბეს ბრიტანიაში მიმავალი ინგლისის ჯარი 250 კაცითდამ 120 მოკლეს და დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს.

პეტერბურგი, დეკ 6 გაზ. ჭერდდის ცნობა, რომ სლავიანოროდის სტანციის ახლოთ, ლაზოვო-სევასტოპოლის რკინის გზაზედ, ადმოჩენილიყოს ნაღმი (ნათხარი) ტყვედი გამოდგა.

დღეს, ორშაბათს, თფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო ჩვენი რედაქციის საქმე ვაჭარ ერევიანთან, რომელიც გვიჩიოდა ცილის-წამებაზედ („დროება“ № 95 ამ წლისა); ცილის-წამება, ბატ. ერევიის ჩივილით, იმაში მდგომარეობდა, რომ ზემოხსენებულს „დროების“ ნომერში დაბეჭდილი იყო ცნობა რომ ღირსეული ვაჭარი ერევიო მალე გაკოტრებას აპირებსო.

ი. ი. ერევიემ მიიღო მხედველობაში ჩვენგან წარდგენილი საბუთები, რომ ამ ამბის დაბეჭდვის დროს არავითარი ბოროტი ჰა სხვა განზრახვა არა გვქონია, არამედ დაიბეჭდა მხოლოთ უბრალო შეცდომილებით.

ამიტომ, ი. ი. ერევიეს განცხადებით, ეს საქმე მორიგებით გათავდა სასამართლოში.

***

სოფ. ახალქალაქიდან გვწერენ, რომ ამ თვის 10-ს ადგილობრივ თ. ლუკა მარხან მოურავიოვის დიდ სახლს გასჩენია ცეცხლი და, რამდენიმე საათის განმავლობაში, მთელი შენობა გადამწვარა ისე, რომ სახლის-პატრონებს თითქმის ვერაფერი დაუფარავთ ცეცხლისაგან. დამწვარა სხვათა შორის ბევრი სხვა-და-სხვა დოკუმენტები, ას თუმნიანი უსახელო ბანკის ბილეთი და ორი-ათასი მანეთის დაახლოვებით, როგორც გვწერენ, ორი-ათასი თუმნის მეტი იქნებაო.

***

დიდ შეწუხებასა გვწერენ თრიალეთიდამ იქაურ ავაზაკების გამო. რამდენსამე სოფელში საქმე იქამდინ მიეიდაო, რომ თავის ძნებს სწვენ ერთმანეთის მტერობით და თვით აქაურ მცხოვრებლებისათვის თითქმის ისეთსავე საჭიროებას შეადგენს, როგორც ლუკმა-პურიო, რადგან მომეტებული ნაწილი საქონლით გამოდისო. სოფ. დიდ-ბომარეთში მაგალითად ორი კომლი კაცი თითქმის სრულიად დაღუპეს ას-ასი ურემი თივა დაუწვეს. სოფ. მიჯაში ერთ ქართველ გლეხს დაუწვეს ორასი ურემი თივა.

ადრე ამ გვარი ბოროტება და აოზაკობა არ გაგონილა ჩვენშიო, იწერება ჩვენი კორესპონდენტი და ახლა კი თან-და-თან მატულობსო. კორესპონდენტის აზრით, ამის ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ ეხლანდელი პრისთავი ხუსეინა-თათარი ძალიან სუსტი ადმინისტრატორი არისო, არ უგდებს თავის მაზრას რიგიანად ყურს, მთელი თვეობით სადღაც იკარგება და პატრონი არავინ ჰყავს ავაზაკ თათრებსაო.

***

კავკასიის საექიმო საზოგადოებამ სამეცნიერო აკადემიკოსი ვალერიან ოფშანსკი მენდელეევი თავის საპატიო წევრათ ამოირჩია.

***

18 ამ თვეს, ხუთშაბათს არწრუნის თეატრში იქნება კონცერტი თფილისის საქალებო გიმნაზიის სპეციალური კლასის ქალების სასარგებლოთ. მონაწილეობას მიიღებენ აქაური რუსული ოპერის აქტიორები და

«დროების» ფელეტონი, 15 დეკემბ.

რამოდენიმე ძველი ამბავი

(ზეპირ-გადმოცემული ქობულეთელ მოხუცის—დელი-ხუს ცნობებისაგან, რომელიც იყო 115 წლის და აწ გარდაიცვალა.)

I

. . . მე როგორც მახსოვს და გამიგონია, ბატონო, ისე მოგახსენებთ:

როდესაც ოსმალებმა ბათომი და ჩაქვი დაიკავეს და იქაური მებატონეები გაათათრეს, მაშინ იწყეს ჩვენი მტერობა: მტაცებლობით, თავს დასხმით, ტყვის ყიდვით, ლაშკრობით და სხვა...

მეორე მხრით აჭარლებმა იგივე მტერობა აღმოგვიჩინეს ჩვენ ბურულებს *), რომლითაც დიდათ შეგვაწროვეს, ასე რომ, თვით სვიმონ ბურიელს და ჩვენს ბატონს მამუკა მაყდგირიძეს დიდათ გაუჭირდათ ჩვენი დაფარვა. თუმცა ხალხსაც თავი არ გვიზოგავს ცოლ-შვილის დაფარვისათვის, მაგრამ ბოლოს მაინც გვძლიეს!

ჩამოვიდენ აჭარლები, დაიცნენ ხინოს, სოფელი სრულიად აოხრეს; ხინო წმინდელმა ქრისტეფორემ ძლივს მოასწრო ხატებისა და სხვა ეკლესიის ნივთების გადატანა ბურიაში; მას გაჰყვნენ რამოდენიმე ხინოელები, გვარათ ქათამიძეები და სხვები, რომელნიც დღესაც სახლობენ ბურიაში.

ამისთანა მდგომარეობის მოსასპობათ ჩვენმა ბატონმა მამუკა მაყდგირიძემ, ითხოვა ახალ-ციხის ფაშას, რომ ამ ნაირი მტრობა მოესპოთ ქრთმანეთში და რაშე პირობა დაეწყვეთო. ფაშამ გამოუცხადა, რომ,—თუ მამუკა მძეელათ მომცემს ძის შვილს მაქსიმელს, რომელსაც ჰყავდა სვიმონ ბურიელის დაი ელენე ცოლათ, მაშინ მოხდება შერიგებაო.—მამუკამ მისცა შვილი მისი მაქსიმელ ფაშას მძეელათ; მაგრამ ამ მშვიდობიანობას დიდ ხანს არ გაუწევია.

როდესაც ეს ამბავი გაიგო იმერეთის დიდმა მეფემ სოლომონმა, სვიმონ ბურიელი მიიწვია ქუთაისში მოსალაპარაკებლათ.

ერთს დღეს მეფე ეუთხრა—სანადიროთ წაბრძანდა ვარციხეს და ბურიელი დასტოვა ქუთაისში, თურმე მეფემ საიდუმლოთ გასცა ბრძანება და ჯარით ჩამოვიდა ბურიაში: ბურული და ქობულეთელი ჯარი თან გაიყოლა; უეცრათ გადიარა ციხის-ძირი, დალაშკრა ჩაქვი და ბათომის სოფლები, მრავალი მტყვეები წამოიყვანა და ალაფით გამოაბრუნდა უკან. მაშინ ვინც რომ დარჩნენ ჩაქველები და ბათომლები, ციხის-ძირის გადმოსარებს, ეიწრო გზაზე, ტყეში, სახელდობ ნაჭიმკრეს, დახვდენ მეფის ჯარს; აუტეხეს დიდი სროლა, დაამარცხეს მეფე, ალაფი და ტყვეები დაატოვებინეს; თუმცა დიდი ცდით, დამარცხებული ჯარით, მეფე გამოვიდა ძლივდობით, მაგრამ ამ დამარცხებამ ისრე დაამჯავრიანა მეფე, რომ აღარ უცოცხლია დიდ ხანს, 1784-ში აპრილის 23 უეცრათ გარდაიცვალა და მის მაგიერად გამეფდა მისი ბიძაშვილი **Დავითი** *).

---

*) ბათომლების მეზობლებში, და მოთავეები წვენის მტერობისა იყვნენ: ხბაშიძე, ბუკნი-შვილი ბირმათური-ძეები, სალვაშები, ქიქვაები, საბები-შვილები, ფალავები, ასათიანი და ციცქაძეები.

აჭარიდგან: თავდგირიძე, ხიმშიაშვილი და სხვანი მრავალნი ზღვაურნი.

*) მეფის დამარცხება მომხდარა 1783 წელშიდ.

სალხინოდ დარჩა სათქვამათ: გაჭირვების დროს, ვითომ ერთი იმერელი ცხენზედ ვედარ შემჯდარიყო; გურული ქვეითათ მორბოდა; იმერელმა დაუძახა:—გურულო! გურულო! ავყვნდა დამიწიე და ერთ მარჩილს მოგცემო. გურულმა უთხრა: „იმერელო! რას ამბობ? მე შენა მარჩილის დათვლაზედის შინ მივალო.“

შეორე იმერელს, ვითომ გაქცეული სვლიგი დაესხას გზაზედ და შეუძახოს: „ხეცა შენს ბედს სვლიგოვო! რომ არც ვინმე მოგიდევს და არც ვისმეს მიზდეგო.“

აქტრისები. ბილეთები ისყიდება ლანკოს ფორტეპიანოს მაღაზიაში.

***

მთავარ-მართებელის ბრძანების ძალით, კავკასიაში გზების გამყვანი მართებლობა აცხადებს, რომ ზმთავალი (1881) წლის 1 იანვრიდამ Mფილისიდამ ალექსანდროპოლამდე, დილეჟანზე, გაყვანილს შოსეს გზაზედ დაედება ბაჟი.

***

რადგან აქაური ტრუპპა ამჟამად ჭუთაისშია და იქ ეძლევს წარმოდგენებს, ამის გამო ამ გაყლილ კვირას Mუდისში ქართული წარმოდნა არ ყოფილა.

თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოთ კრება

ქ. თელავში 1880 წ. გიორგობისთვეს.

(დასასრული)

ამის შემდეგ წამოდგა მ. აბ. ბაღაევი და ჰსთქვა დაახლოებით შემდეგი:

„ჩვენ, სიღნაღელებს ახალის სახლის აშენებლად არაფრის შეწირვა არ შეგვეძლიან ჩვენის ჯიბიდამ და, სწორე მოგახსენოთ, ჩვენ გვსურს Mფილისის სასწავლებელს მიეწეროთ. მიზეზი ამისა ის არის, რომ ა) ჯერ Mელავის სასულ. სასწავლებლიდგან ძასული, ბ) ჩვენებურების ენისმეტად არ აქცევეთ ყურადღებასა და სახელმწიფო (საკანტორო) ხარჯზედ მხოლოდ თქვენებურებს იღებთო“...

ეს აზრი ფრიად ეწყინათ წედამხედველსა და Mელ. მაზრის მღვდელთ. სამღვდელოებაში შეიქმნა უკმაყოფილების ჩოჩქოლი. მ. ბაღაევის წინააღმდეგ ილაპარაკა ბ. ნ. მთვარელოვმა:

„Mიდად ესწუხვარ, რომ თქვენ, Mფილისის სასულ. სასწავლებელში ნასწავლმა და სემინარიაში კურს შესრულებულმა, წარმოჰსთქვით ეგრეთი უსაფუძლო და მოუფიქრებელი აზრი. Mქვენი აზრი უნდა წარმოსდგებოდეს არ უმეცრებისგან, ან ჭირვეულობისაგან; როგორც გეტყობათ, თქვენ სრულიად არა გცოდნიათ Mელავის სასულ. სასწ-ე. წარსული ისტორია. როგორც Mელავში, აგრეთვე სიღნაღში გაიხსნა სასულ. სასწავლებელი 1817 წ. მაგრამ 7-8 წლის არსებობამ სიღნაღის სასულ. სას. წ. დაარწმუნა საზოგადოება და მთავრობა, რომ სიღნაღში ვერ იკეთილა, ვერ მოიდგა ფეხი სასწავლებელმა; იგი იყო მხოლოდ ფორმის, შნოს გულისათვის; ამისათვის 1831-ს (ვგონებ) წელში შეერთებულ-იქმნა Mელავის სასწავლებელთანა. სიღნაღელების განცალკევებაზედ Mელაველთაგან პირველად არ გვესმის: ეს აზრი გავიგეთ ჩვენ პირველად 1871-ს წელში იმ ყრილობაზედ, რომელზედაც თავსმჯდომარეობდა მ. ლ. Mურიევი; მაგრამ აქამდის თქვენი უსაფუძლო აზრი, საბედნიეროდ, ისევ აზრად რჩებოა. Mუ გნებავთ შეტყობა Mელ. სასულ. სასწ. წარსულისა, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანია Mელ. და სიღნ. მაზრის სამღვდელოებისათვის, ამაზედ ილაპარაკეთ დროს ეხლა კი არ არის და ლიანთ მობრძანდეთ ჩემთან და შეიტყოთ ყოველივე დაწვრილებით. როგორ ბრძანებთ თქვენ, ქიზიყელნი, რომ ჩვენიდგან არავის იღებთ საკანტორო ხარჯზედაო? ამ ჟამად 14 ყმაწვილია სიღნაღის მაზრიდამ Mიღებული (სულ სრულ და ნახევარ ხარჯზედ Mელავის სასწაველ. აქვს 26 სტიპენდია) და სრულ ხარჯზედ კი გაცილებით მომეტებულნი სიღნაღის მაზრიდგან არიან მიღებულნი. Mრიად სამწუხაროა ჩვენის სამღვდელოებისათვის მაგ-გვარის მოუფიქრებელის აზრების წარმოთქმა!..“

ბევრის ბაასის შემდეგ ყრილობამ ამ საგნის შესახებ გარდასწყვიტა იმ რიგად და იმ აზრზედ, როგორც წარმოჰსთქვეს თავსმჯდომარემ მ. ხილაევმა და მ. Iვ. Mიუკოვმა.

მეოთხე საგანი ყრილობის განსახილველად წარმოდგენილი ის იყო, რომ სამღვდელოებას აღმოეჩინა შემწეობა ღარიბ მოსწავლეთათვის. ამ საგნის შესახებ ყრილობაზედ დამსწრე დეპუტატებმა და ზოგიერთ გარეშე პირებმა იქვე შესწირეს თითო მანეთი და დაადგინეს, რომ ყველა საბლაღოჩინოში გამართულ იქმნას ხელისმოწერა Mელ. სას. ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

მეხუთე საგანი: ღონის-ძიება იხმაროს სამღვდელოებამ, რომ მათგან შეწირული ფული მოსამზადებელის კლასების ორის მასწავლებლის შესანახად დროზედ წარმოიდგინებოდეს ხოლმე სასწავლებლის სამმართველოში. ბ. ნ. მთვარელოვის სიტყვის შემდეგ, რომელშიაც გამოხატა დიდი დაბრკოლება ამ გარემოებისაგან, ყრილობამ გარდასწყვიტა, რომ იანვრის [illegible] ხოლმე ყველასგან ფული; წინააღმდეგ ამისა,—ვინც არ წარმოადგენს დანიშნულს ვადაზედ—ჯარიმა გარდახდეს.

მეექვსედ, განიხილეს მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილების მასწავლებლის ბ. Iი. მომფორიას თხოვნა, რომელშიაც იგი ითხოვდა [illegible] ყრილობას სისრულეში [illegible] გარდაწყვეტილება წინანდელის ყრილობისა, რომელზედაც ბ. მომფორიას მიჰსცეს ერთ-დროებითი საჩუქარი 150 მან. Mრილობამ დაადგინა: მიეცეს ბ. მომფორიას 150 მ. ჯილდო მომავლის იანვრის სამღვდელოთ ჯამაგირიდგან.

მეშვიდე საგანი: სასწავლებლის სამმართველომ დიანახა ნაყოფიერი შრომა ქართულის ენისა და გალობის მასწავლებლის ბ. რ. Cამციევისა და ჰსთხოვა ყრილობას, რომ მას მოემატებინა ყოველ წელს ჯამაგირი 100 მან., რადგანაც იგი ფრიად ცოტას—400 მანეთს იღებდა. ბ. რ. C—ის სასარგებლოდ ილაპარაკეს ბ. ზედამხედველმა და სასწ. სამმართველოს წევრმა მ. Iვ. Mიუკოვმა. Mრილობამ დაადგინა: სასარგებლო შრომისათვის მოემატოს მასწავლებელს რ. Cამციევს წელიწადში 100 მანეთი ჯამაგირი.

Aჰით გათავდა ეს ფრიად შესანიშნავი და ნაყოფიერი სამღვდელოთ ყრილობა.

ბოლოს Mელავის მაზრის მღვდელთ შეიტანეს აზრი, რომელიც ყრილობის ოქმში იყო ჩართული, რომ, რადგანაც ჩვენში გამოჩნდენ იმისთანა სამღვდელონი, რომელნიც ჰკისრულობენ, თუ Mელავის წმ. სანთლის დუქანი ჩვენ ჩაგვებარა, ნახევარს სარ[illegible] ამ დუქნის ჩადამხედველს ეძლევა, სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ შევსწირავთო, — ამისათვის ვსთხოვთ ექსარხოსს, რომ Mელავის სანთლის დუქანი ჩამოართვას მღ. ხირსელოვს და მიენდოს იმ პირს, რომელიც ნახევარს სარგებლისას შესწირავსო. ამ აზრის მოწონებით ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ეს საგანი წარედგინოს სამღვდელოებას.

***

ახალ-ციხის შამამ რომ შეიტყო ჩაქვი და ბათომი დალაშკრესო, გამოესია ლაშკარი. დაეცენ თავზე მამუკა Mავდგირიძეს ჭობულეთში, სოფლები აიკლეს, ყმაწვილები ტყვედ წაიყვანეს და ეკკლესიები აოხრეს; ასე რომ ჩვენ ვეღარ ვსძლიეთ და Bურიიდამ მოშველებამ ვეღარ მოგვასწრო.

ამის შემდგომ მამუკა Mავდგირიძემ ვეღარ დადგა ჭობულეთში და რამოდენიმე აზნაურებით და მხლებლებით გავიდა Bურიაში. Bურიელმა მისცა მას პატარა სოფელი Aკეთში.

II

ჩვენ დავრჩით უპატრონოთ, შევიგარეთ თავი, ვარჩიეთ, წავედით Aხალციხეს შაშასთან და ვთხოვეთ, რომ მოგვცას ჩვენი ბატონის-შვილი მაქსიმელ, რომელიც მას ჰყავდა ძეღლათ წაყვანილი. Aხალციხის Mაშამ—ამისთვის გვთხოვა ქრთამი ასი ქესა *) და მაქსიმელის ცოლშვილის გათათრება; ჩვენ თუმც ბევრ ნაირათ ვთხოვეთ Mაშას, მიზეზათ უთხარით: რომ, მაქსიმელის ცოლ-შვილის გათათრება არ შეიძლებოდა, რადგან Bურიელის ქალი იყო და აღარ მოვიდოდა ქმართან საცხოვრებლათ. მაგრამ—გვითხრა: „მაქსიმელმა გადაითქვას თათრის სახელი და მისი ცოლ-შვილი იყოს ქრისტიანათო; მე კიდევ ხონთქრიდგან ფირმანს მოგიტანინებთო და აღარც ვინმე გერჩისთო.“

მეტი ღონე აღარ გექონდა, მაქსიძელს გადაათქვეს სახელათ სულეიმან-ბეგი. ჩვენ შევკრიბეთ ფულები და ასი ქესა მიეცით Mაშას; მოგვცა მაქსიმელი ბატონათ.

ჩვენც და ჩვენს ბატონსაც მოგვიტანინეს ხვანთქრის ფირმანი, რომელშიაც იყო გამოცხადებული ხონთქრის გადასახადი, კომლზე თითო მარჩილი (Mაშინ მარჩილი იყო ერთი Mაური) და თუ ოდესმე ომი იქნებოდა, ხვანთქრისათვის უნდა გვებრძოლა.

Aმ მდგომარეობაში Mშვიდობიანათ და მყუდროთ ვიყავით თითქმის ოცდა-ათი წელიწადი. Aმასთან ბატონისა და Bურიელის სამსახურსაც ვასრულებდით ჩვეულებისამებრ.

Eკლესიები სადაც გექონდა, ყოველგან გვყავდა მღვდლები, ყველანი ვინათლებოდით. Aგრეთვე Bურიელის ქალს, ბატონიშვილს Eლენეს ჰყავდა Mეთროსანს Bეარაზედ კარის მწირველი მღვდელი მახარობელი Mუჯირი *).

Aმ მდგომარეობაში ჩვენი ქრისტიანობა იყო შეურყეველი სულეიმან-ბეგის და Bურიელის ქალის Eლენეს სიკვდილამდი, ესე იგი 1827 წლამდის. Mემდგომ ამისა ცოტ-ცოტათი იწყო ხალხმა გამამადიანება, კიდევ მაინც ქრისტიანობის წესდებულება და ჩვეულება დიდათ არ მოგვიშლია, მით უმეტეს, რომ ქალები სულ ქრისტიანები გვეყავდენ და ეხლაც იპოვებიან ქრისტიანი ქალები ჩვენში.

III

რამოდენიმე წლის შემდგომ მეფის გარდაცვალებისა, გარდაიცვალა Sიმონ Bურიელიც, რომელსაც დარჩა შვილი, ჩჩვილი, მამია; უკანასკნელი მთავარი Bურიის. მაშინ Bურიას მართვიდა დედა-მისი მარინე დედოფალი, სარდლის ქაიხოსრო წერეთლის ქალი.

მაშინ იშონა მარჯვე დრო Aხალციხის Mაშამ, რადგან ემტერებოდა Bურიელს და მამუკა Mავდგირიძეს; Aბდულ-აღა ხიმშიაშვილის წინამძღოლობით გამოუსია Bურიის ასაკლებათ Aჭარიდგან ჯარები 12,000-მდის. Aბდულ-აღა წამოვიდა და ამ ჯარით დებარგა Aსკანის გამოსარებს Sმლიეის მთაზედ. Bამოუგზავნა მოციქული მამუკა Mავდგირიძეს. მოციქული მოვიდა იმ დროს, როდესაც მამუკა იჯდა სადილათ, წვეულნი ჰყავდა Bიორგი Bუგუნავა და სხვანი ბევრნი თავად-აზნაურნი. მოართვა შემდეგი მოციქულობა:

„— მე გამომგზავნა თქვენთან Aბდულ-აღა ხიმშიაშვილმა, ბევრი სა-

*) ერთი ქესა არის 25 მანეთი.

*) თეთრწმიანი სასწაულთ-მოქმედი წმინდის გიორგის ეკკლესია არის ქობულეთის სოფელს გვარაში, რომლისაც ეკლეს ქობულეთლებს გვემართა შესწირვა წელიწადში ერთხელ და უნდა მოგვეძღვნა. ესლა ის ხატი არის აჭეს, მაჩხოვარის საყდარში, რომელსაც ბევრი ჩვენგანი ესლაც უგზავნით ყოველ წლობით შესაწირავს. ეს ეკკლესია 1850 წლამდის იყო შეუსებელი, შემდგომისათ დასმტვრიეს თათრებმა და ესლა არის პარტახით (ოხრათ).

წირაეს თელ. სასულ. სასწავლებელსა. ეს აზრი გონიერი და სასარგებლოა. დიდი სარგებლობა აქვს სანთლის ქარხანებს სამღვდელოებისათვის. მაგრამ ჩვენი სამღვდელოება, რომლის განკარგულებაშიაც გადვიდა ამ ცოტას ხანში ტფ. სანთლის ქარხანა, ჯერ ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევს ამ საქმესა. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ჩვენი სამღვდელოება ერთგულად მოჰკიდებს ხელსა სანთლის საქმეს და არ ჩააგდებს კერძო პირთ ხელში, სანთლის მოგების სარგებელი შეინახავს მასწავლებელთაცა, ღარიბ მოსწავლეთაც და თვით სასწ. სახლებსაცა. თელ. მაზრის სამღვდელოთ მხრით ეს პირველი ნაბიჯია სანთლის საქმეში და ვისურვებთ, რომ აქაურს სამღვდელოებას კეთილი ნაყოფი გამოეღოს ამ საქმეში...

როდესაც ყრილობის ოქმზედ ხელის-მოწერა დაიწყეს დეპუტატებმა, მ. აბ. ბაღაევმა და იმის ორმა თანამოაზრემ დანარჩენ დეპუტატების განსაცვიფრებლად წარმოსთქვეს, რომ „ჩვენ ყრილობის გარდაწყვეტილებაზედ თანახმანი არა ვართ, რადგანაც ჩვენებურთ ძღვდელთ არა ჰსურთო და ამისათვის ოქმზედ ხელს ვერ მოვაწერთო!“

დიდი ღვაწლი მიუძღვის თელავის სასულ. სასწავლებელსა ქახეთ-ჰიზიყისადმი! 1817 წლიდამ 1845-მდის თელავის სასწავლებელი იყო თითქმის ერთად-ერთი სასწავლებელი, რომელშიაც იღებდა განათლებას თელავსიღნაღის მაზრების თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. რომელ წოდებაში გინდათ, რომ თელავის სასულ. სასწავლებელს არა ჰყვანდეს წარმომადგენელი: სამხედროში? — ღენ. ზ. ბ. ჭავჭავაძე, სამოქალაქოში? — თ. იასე ნ ჭავჭავაძე, რამდენი თ. ჯანდიერიშვილები, მაყაშვილები, ენდრონიკაშვილები — რიცხვი არა აქვსთ! სამღვდელონი? — ვინ არიან ჰიზიყის დაწინაურებული სამღვდელონი, თუ არ მოწვლენი თელ. სასულ. სასწავლებლისა? მაგრამ... მაგრამ ისა, რომ ჰიზიყელთ ერთი რაღაც ჯიუტობა დასჩემებიათ: 1871 წლიდამ სულ იმას გაიძახიან, რომ ტფილისის სასულ. სასწავლებელს უნდა შევწიროთო.

დიდად სამწუხაროა ევრეთი სამღვდელოთა შორის განხეთქილება, მაგრამ ჰიზიყელთ ნუ ჰგონიათ უემათოდ თელავის სასწავლებელი დაიკეტება. ახელნი იმდენად არიან გატანჯულნი ჰიზიყელთ უთანხმოებით, რომ თითქმის იძულებულნი შეიქმნენ საკუთრად იზრუნონ თავის შვილებისათვის. ჰიზიყელ სამღვდელოებას ისა ჰსურვებს, რომ ზოგიერთნი პირნი მაძიებელნი ბლაღოჩინობისა, სრულიად ჩრდილ მღვდლებსა. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ სალწაღის მაზრის მღვდელთ ამ პირებს დაუწყეს ყურება, — ესენი არაფერს კეთილს არა ნდომობენ არც სამღვდელოთათვის და არც სასწავლებლისათვის.

დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ როგორც ყრილობაში ილაპარაკა სასწავლებლის სასარგებლოთ თელავის მაზრის სამღვდელოებამ, აგრეთვე სასარგებლოდ გაათავებს 29-30 ივლ. ყრილობაზე მოლაპარაკებულს კითხვებსა. ღვთის წინაშე ღირსნი არიან პატივცემისა მღვდელნი: მ. ხელაევი, ივ. შეუკოვი, რ. ლაშხაროვი, ილ. შიუკოვი. დ. ძალატოზოვი, ზ. მთვარელოვი, სუ. ბიუნვი, დ. ლაყაფოვი და ნ. მაჭავარიანი თანაგრძნობისათვის თელ. სასულ. სასწავლებლისადმი.

გასული წისწაბური.

რუსეთი

—

უირიმის მებაღეებს აეკრძალათ ვაზების გაყიდვა, რადგანაც იქ ფილოქსერა გამოჩნდა. ღენერალს ბარონ ძორფს მიწერილობა მოუვიდა, რომ დაუყოვნებლივ მიიღოს ფილოქსერის წინააღმდეგ ყოველი ღონის-ძიება.

—

ფინანსის მინისტრის აზრი, რომ მარილზე ბაჟის მოსპობის მაგივრათ გილდის მოწმობებს მოემატოს ფასი და ათი პროცენტიც დამოჭონის გარდასახადებს, მოიწონეს სახელმწიფო რჩევაში.

უცხოეთი

—

წვრილი ამბები. ბარიბალდიმ მიიღო საბერძნეთის დეპუტაცია და გამოუცხადა მათ: „შეუძლებლობის გამო, მე ვერ შემიძლიან დავეხმარო თქვენს სამშობლოს, საბერძნეთს; მაგრამ მაგიერათ მზათა ვარ შევსწირო მას ჩემი შვილის სიცოცხლე, რომელიც სრულის ენერგიით დაეხმარება თქვენს წმინდა საქმესაო“.

—

პარიჟის გაზეთის *Des Debats*-ის აზრით, ოსმალოსა და საბერძნეთს შუა შეტაკების შესაყენებლათ, საჭიროა რჩევა ევროპის სახელმწიფოებისა.

—

სორბონში, პარიჟის უნივერსიტეტში, გამბეტამ შეხვედრა მოაწყო სტუდენტებით მიმართა ახალგაზდა სტუდენტებს. „ჩვენმა ახალგაზდობამ იცის ეხლა როგორც უნდა წაიყვანოს თავისი საქმეები. მისთვის დიდებას შეადგენს, რომ თავის სამშობლო საფრანგეთს მიანიჭოს ის ადგილი, რომლის ღირსიც არის, შრომით, მეცადინეობით, სიყვარულით და ერთობით. რაც კი აქვს ახალგაზდობას, ყველაფერს შესწირავს მამულისათვის, მეცნიერებისათვის და სახელისათვის“.

სორბონიდამ როგორ გამოვიდა, ხალხი დიდის ამბით დაუხვდა გამბეტას.

—

იტალიური გაზეთები თხოულობენ, რომ აესტრიის სამხედრო ხარჯები აიშენოს. ამასვე თხოულობდა დეპუტატი ქაეალეტტო იტალიის დეპუტატთა პალატაში წენეციისათვის. მინისტრმა აკტონმა გამოაცხადა, რომ ამ საგანზე სწარმოებს გამოძიებაო.

—

ბაზეთ „ნოვოე ვრემიასაგან“ პარიჟიდამ მიღებულ ტელეგრამმაში სწერია, რომ პოლიციის პრეფექტს მიუღია ზომები რომ გამბეტას არაფერი უბედურება შეემთხვეს. ხმებია, ვითომ როშფორი სცდილობდეს როგორმე დუელი აუტეხოს გამბეტას.

განცხადებანი

—

იანვრის 1-ან შემავალის 1881 წლისა, გამოიცემა, ქ. თფილისში, ახალი ქართული ყოველთვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

„იმედი“

ამ ჟურნალს ექნება შემდგომი განუყოფილება: 1, ბელლეტ-

ლამი მოგახსენა და შემოგითვალა: მე პირ-და-პირ თქვენი სტუმარი ვარო და როგორ ინებებთო, დამხვდებით თუ არაო?“

ამ მოციქულის მოხსენებაზე მამუკა თავდგირიძემ გაიღიმა და უთხრა: „—აჰარელო, ჯერ მშიერი იქნებიო, სადილი ჭამე და პასუხს მერმე გაგატანო“.

სადილს შემდგომ პასუხი მისცა ესრეთი:

„—ჩემ მაგიერ სალამი მოახსენე და მერე რად იფიქრე-თქო რომ თავდგირიძე ხიმშიაშვილს გაექცევა! — ეს ჯერ არ გაგონილაო. მე შენ არც გაგექცევი და საკადრისათაც დაგხვდები, თუ მამუკა ვარო!“

ამ პასუხით გაისტუმრა აჰარელი.

მამუკა მაშინვე შეუდგა განკარგულებას; მოილაპარაკა თავად-აზნაურებთან და დაამზადა გურული ჯარი. ბიორგი ბუკუნავა დააყენა მარჯ. ჯარი და მარც. შალიკაშვილი და სხვებიც. ასკანის მცხოვრებს დააცლევია სახლები, ცოლ-შვილი გადაამალვია სხვაგან, კაცები ჩაესაფრენ იარაღით ტყეში. ასკანის მოურავს ასათიანს უბრძანა მამუკა თავდგირიძემ, რომ ჯერ გამოეშვათ მთიდგან აბდულ-აღა ჯარებით და შერმეთ შეეკრა მთის გზა.

როდესაც სულ ჯარი გამოუშვეს და აჰარლები ჩამოლაგდენ, გიერიენ სოფელს თარაშათ. აბდულ-აღა წავიდა თავის ჯარით პირ-და-პირ მამუკა თავდგირიძესთან, რომელიც უცდიდა ჯარით თავის სასახლესთან. იქითაქით სოფლებში აუტეხეს ყოველკედრით სროლა; რა დაინახა მამუკა თავდგირიძემ ნაგომრის მინდორში თეთრ ცხენზედ მჯდომი აბდულ-აღა, მიეგება წინ და შესძახა:

„—აბდულ-აღა! თუ კაცი ხარ დამხვდიო!“

შეიბნენ. აბდულ-აღა გადმოაგდეს ცხენიდგან და მოჰკლეს, დაერიენ ჯარს ხმლით, მოიშალა თათრები და გაიქცა უკან; გაბრუნებულებს დახვდენ ბახველები და ასკანლები, შეიქნა სროლა სოფლებში, საყვირის ცემა, ასე რომ ყურთა-სმენა აღარ იყო და სულ ერთიანათ თითქმის ამოსწყვიტეს და მრავალი ტყვედ დაიჭირეს, ყოველი ნაშოვარი ალაფი დაატოვებინეს.

აბდულ-აღას თან ახლდა პატარა ძმისწული ახმედ-ბეგი, რომელიც იშოვა ასკანელმა თალაკვაძემ ტყვეთ და გააპარა*). შემდეგ მრავალს ტყვეებს თავს ახსნიდნენ ფულით და უშობდენ შინ.

ამისთანა არეულობა და თავდასხმა მერე აღარც მოხდარა ბურიაში.

მამუკა თავდგირიძე ბურიაში გარდაიცვალა და დასტოვა ხუთი ვაჟები: ბიორგი, ალექსანდრე, სოლომონ, მიზარბეგ და ფრიდონ, რომლების შთამომავლობა ეხლა არიან ბურიაში; ხოლო მამუკას უფროს შვილს, სულეიმან-ბეგს, დარჩა ჰობულეთში ხუთი ვაჟი, რომლების შვილები ეხლაც არიან ჰობულეთში: ალი-ფაშა, ოსმან-ბეგი და მის ბიძაშვილები**).

*) ეს ახმედ-ბეგი იყო შერმეთ ახმედ-ფაშა და მაშა ესლანდელი შერიფ-ბეგის სიმამიაშვილისა.

**) ალი-ფაშა და ოსმან-ფაშა ესლა თვის ბიძაშვილებით არიან ოსმალეთში.

IV

ჩვენში თათრობა უფრო გამრავლდა სულთან მაჰმუდის II-ს მერმეთ, ესე იგი, თენზიმატის (რეფორმის) შემოტანით, რომლითაც გამოგვეცხადა ნიზამის გამოყვანა და უშურის გადახდა (ათის-თავის). მაგრამ ჩვენ არ ვიყაბულეთ და არც მიეცით, რომლის მიზეზით ჯარები გამოგვისიეს, აგვიკლეს, ძალით ფირმანები გამოვევართვეს, ბათომში გუბერნატორი დაგვიჯდინეს. ქაიმაკამები და მუდირები დაგვინიშნეს, თავდგირიძეებს ჯამაგირი დაუბეს, ძველი ჩვეულება მოგვიშალეს, მისამიც გამოგვართვეს. თუმცა ჩვენ რამოდენიმე ჯერ მოვინდომეთ ბურიაში გამოსვლა და ჩვენს ნათესავებთან შეერთება, მაგრამ თათარმა და რუსმა გააკეთეს კარდონი და მოგვისპეს ერთმანეთში, არა თუ შეერთება, მისვლა-მოსვლაც.

ი. ნ—ძე.

ოზურგეთი, 10 დეკემბერს

რისტიკა, 2, ისტორია, 3, ჰედაღოღიკა, 4, კრიტიკა, 5, განსილვა კავკასიის მხარის საზოგადობრივი მოვლინებებისა, ს, მიმოხილვა რუსეთის საზოგადობრივი მოვლინებებისა და 7, პოლიტიკა.

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ადგილებში და შინ მიტანით თფილისში არის 8 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში: რედაქტორის სადგომში საბერნის ქუჩაზედ № 41 და შაევრდოვის გაზეთის საგანგებოში.

გარეშე მკითხველებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Въ Тифлисъ. редактору грузинскаго журнала «Имеди» Саперная улица, № 41.

რედაქტორი და გამომცემი
მიხეილ გურგენიძე.
3—1

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაიები, კამფეთები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მიწამ სადმე სხვაგან — ინგლისურ მაღაზიაში არწრუნის გალერეაში.
12—2

მობრძანდით ლონდონის მაღაზიაში, კომერჩესკის ბანკის ქვემოთ: ნახავთ იქ ბევრ ისეთს რამეებს, რომელიც ამ უქმეებში საჩუქრებათ გამოგადგებათ: კამფეთები, მურაბა და სხვ. რამეები.
12—2

თფილისის ქალაქის

გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა დეკემბრის 5-ს გამგეობაში იყო დანიშნული ვაჭრობა (ტორგი) იჯარით გაცემაზედ სამის წლის ვადით, 1881 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ, იმ საქალაქო ბუდკებისა, სადაც ისყიდება ხელოვნური მადნის წყლები და რომელნიც შემდეგ ალაგებზე იმყოფებიან: ბალაგინის პროსპექტზე—5 ბუდკა, ერევნის მეიდანზე—2, ალექსანდროვის ბაღის მახლობლად სახაზინო პალატის პირ-და-პირ—1, აბას-აბატის მეიდანზე—1 და ნავთლუღში—1; მაგრამ ეს ტორგი არ შესდგა, რადგან ჯეროვანი ფასი არავინ შეაძლია გამგეობას. ამის გამო ამ საგანზე ხელ-ახლად დანიშნულია ვაჭრობა ამ დეკემბრის 22-ს ქალაქის გამგეობის თან-დასწრებით.

პირობების (კანდიციების) ნახვა მაყურებელს შეუძლიან მუდამ დღე გამგეობაში, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ, კვირა-უქმ დღეებს გარდა.
3—3

---

26 ნოემბერს

ფაეტონში დაავიწყდათ

ანგარიშის წიგნი

ხელ-წერილებით და ანგარიშებით. მნახველს სთხოვენ „ჩეტსკი პრიუტში“ („ᲛᲬᲧᲐᲠᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ-ᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲔᲚᲨᲘ“) მოიტანოს, არსენალის ქუჩა, სახლი მულინისა, სადაც მიიღებს ჯეროვანს საჩუქარს.
3—3

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ჩაიხტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...
(100—4)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცნობებს ქ. ქუთაისის უძრავი მამულების მფლობელებს, რომ 27 სექტემბერს ამა წლისას ქალაქის რჩევისაგან დაიდება გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ (оцѣночнаго сбора) ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲗᲕᲔ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ხოლო გარდამცილებელი ამა ვადისა ე. ი. პირველი იანვარისა, იხდის ჯარიმას მანეთზედ სამს მეოთხედს კაპიკისას (3/4%) თვეში.
3—3

ᲕᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ-ᲠᲐ, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეაში, სადაც მიღებულია დიდძალი ჩაი 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ფრენისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ცეცხლისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ.
15—9

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა იყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე იყიდება 5,000 ფალნოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუქანი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ.
10—8

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲔᲚᲘᲡ ᲐᲞᲐᲢᲝᲜᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲔᲤᲐᲗ ᲡᲐᲛᲡᲚᲝᲜ ᲛᲚᲔᲒᲠᲝᲕᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓᲔ, ᲫᲕᲔᲚ ᲓᲐᲛᲝᲫᲕᲜᲘᲡ ახლო. ᲐᲗ ᲓᲦᲔᲖᲔᲓ ᲐᲡᲣᲥᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲒᲖᲓᲠ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ.
5—4

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შედარებით ნვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1მ.40კ

—	— —1—20	—	—1—60
—	— —1—40	—	—1—80
—	— —1—60	—	—2— „
—	— —1—80	—	—2—50
საუკეთესო	—2— „	—	—3— „

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები და სხვ. ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.
(100—69)

ტფილისში

შაევრდოვის გაზეთის სააგენტო

(ბოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შაევრდოვის პავილიონში.)

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ 1881 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝ-ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.
25—21

თფილისის ტყავის ქარხანა

შუა-ბაზარში, მეტყაველების რიგზე, ქართველოვის სახლებში გავხსენი საწყობი (სკლადი) ყოველ-გვარ ტყავის საქონლისა და მაქს ვაჭრებისა და მომხმარებელთათვის სხვა-და-სხვა სორტის ტყავები: ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲜᲩᲔᲑᲘᲡ (პადოშვის ტყავები), ᲪᲮᲔᲜᲘᲡ, ᲘᲣᲮᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲞᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲔᲚᲘ; აგრეთვე ᲕᲘᲢᲘᲐᲭᲔᲑᲘ, ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲔᲚᲔᲑᲘ (გალოვკა), ᲡᲘᲠᲝᲛᲘᲐᲢᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲔᲑᲘ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲜᲔᲑᲘ.

ყველა ეს საქონელი იყიდება იმ ფასად, რა ფასათაც ზავრდებში იყიდება ხოლმე.
10—4

Принимается Подписка

НА 1881 ГОДЪ

НА

ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗКІЙ КУРЬЕРЪ“

Подписная плата: городскимъ подписчикамъ, съ доставкою на домъ, по 4 руб. и иногороднымъ, съ пересылкою по почтѣ, по 5 руб. въ годъ; за полгода же первымъ по 3 руб. и послѣднимъ по 4 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ: въ конторѣ редакціи газеты „Листокъ Кавказскихъ Объявленій,“ въ газетномъ агентствѣ Шавердова и въ конторѣ нотаріуса Мамиконова.

Иногородные подписчики адресуютъ: въ г. Тифлисъ, въ редакцію газеты: „КАВКАЗСКІЙ КУРЬЕРЪ,“ на углу Графской и Атаманской улицъ, въ верхнемъ этажѣ дома Квятковскаго.

ПРОГРАММА

Газеты „Кавказскій Курьеръ“

1) Правительственныя распоряженія. 2) Телеграммы. 3) Передовыя статьи. 4) Политическое обозрѣніе. 5) Внутренній отдѣлъ. 6) Внѣшній отдѣлъ. 7) Судебная хроника 8) Городское самоуправленіе. 9) Смѣсь. 10) Фельетоны. 11) Справочный указатель. 12) Казенныя, торговыя и частныя объявленія.

Редакторъ-издатель М. И. Хитаровъ.
3—3

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Декабря 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი